13/01/2026

MES 8 26 0000014820

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 23.12.2025
სხდომის დაწყების დრო: 11:00
სხდომის დასრულების დრო: 15:50
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე** - სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ვაჟა კელიხაშვილი** - ა(ა)იპ საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
4. **ბონდო გასვიანი** - შპს საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. **დავით კაპანაძე** - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი
6. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი.

7. **თეა მჭედლური** - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის“ ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
8. **თამარ ზარანდია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
9. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.
10. **მზია წიკლაური** - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
11. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
12. **ნარგულ ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
13. **ციური დურული** - სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
14. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
15. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმო მადგენლები:

- **ქეთევან ინანაშვილი**-უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადილე;
- **ლალი ოდიშვილი**-უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
- **ნანა კავლელაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი:

1. ვახტანგ ლეჟავა - რექტორი;
2. მარინა ქარჩავა - პრორექტორი სასწავლო პროცესის მართვის საკითხებში;
3. ანკა თაბუკაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
4. მარიამ მოქია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
5. თეო ურუშაძე - აგრონომიისა და ლანდშაფტის მენეჯმენტის სკოლის დეკანი;
6. დიანა ხომასურიძე - აგრონომიისა და ლანდშაფტის მენეჯმენტის სკოლის კოორდინატორი;
7. ნატო კობახიძე - სადოქტორო პროგრამების კოორდინატორი;
8. ანა ბოკუჩავა - სამაგისტრო პროგრამების კოორდინატორი;

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტები:

1) გოდერძი ბუჩაშვილი - ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით;
2) ნონა ზუმბაძე - ხარისხის აუდიტი;
3) ანა გვრიტიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
4) ნინო ჯოჯუა - რექტორის მრჩეველი ხარისხის მიმართულებით;
5) თემურ გუგუშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი;
6) პროფ. იოსებ სალუქვაძე - პროგრამის ხელმძღვანელი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
7) პროფ. თამარ დოლბაია - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
8) თაკო ჯახუა - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი;
9) გვანცა სალუქვაძე - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;
10) ასოც. პროფ. ნინო ქიმერიძე - თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის განყოფილების უფროსი;
11) ნატალია ბარათელი - საგანამანათლებლო პროცესის ხარისხის კონტროლისა და შეფასების ცენტრი;

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი:

1.ელენე მამუკელაშვილი, ფაკულტეტის დეკანი;
2.თამარ ტუფინაშვილი, აკადემიური განვითარების ხელმძღვანელი;
3.თამარ გვიანიშვილი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
4.მიხეილ რუხაია, კომპიუტერული მეცნიერების და ხელოვნური ინტელექტის საბაკალავრო პროგრამა;
5.გიორგი დათუკიშვილი, საიმფორმაციო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა;

სიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:

ივანე ჯაგოდნიშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.
ალექსანდრე სიჭინავა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ მეციერებათა ფაკულტეტის დეკანი. ეკატერინე შაკიაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.
თამარ მალაღურაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ბაკალავრიატის პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს ევროპის უნივერსიტეტი:

1.სოფიო ხუნდაძე - ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართლებით;
2.ბაია კუბლაშვილი - ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;

აკრედიტაციის ექსპერტები:

ფრანცის კევინ კენდალი(I საკითხი);

თამარ სანიკიძე (I საკითხი);
ინგა დიასამიძე (I საკითხი);
ია ნაცვლიშვილი (I საკითხი);
გიგა თვაური (I საკითხი);

შელ ივარ ოვერგორდი
ვახტანგ კეკოშვილი (II საკითხი);
ნანი არაბული (II საკითხი);
ქეთი ცხადაძე (II საკითხი);
ირმა ქურდაძე (II საკითხი);
გიორგი მხეიძე (II საკითხი);

პაპუნა ქარჩავა (III საკითხი);
მარინა რაზმაძე (III საკითხი);
გიგა ხოსიტაშვილი (III საკითხი);
თამარ ხუციშვილი (III საკითხი);

პაპუნა ქარჩავა (IV საკითხი);
მარინა რაზმაძე (IV საკითხი);
გიგა ხოსიტაშვილი (IV საკითხი);
თამარ ხუციშვილი (IV საკითხი);

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ **ლევან შავაძემ**.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ-საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "აგრონომიის" საბაკალავრო,"აგრონომიის" სამაგისტრო და "აგრონომიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
2. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "კომპიუტერული სოციალური მეცნიერებები განვითარებისთვის" ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3.შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "საინფორმაციო ტექნოლოგიების" საბაკალავრო, "კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო და "ინფორმაციული სისტემების მართვა"- DevOps" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4.სიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

5. პს ევროპის უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი).

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს გააცნო შპს ევროპის უნივერსიტეტიდან წარმოდგენილი კორეპონდენცია, რომლითან ითხოვენ „ინფორმატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭებას.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ-საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "აგრონომიის" საბაკალავრო, "აგრონომიის"სამაგისტრო და "აგრონომიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
2. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "კომპიუტერული სოციალური მეცნიერებები განვიტარებისთვის" ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის" საინფორმაციო ტექნოლოგიების" საბაკალავრო,"კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის"საბაკალავრო და "ინფორმაციული სისტემების მართვა"- DevOps" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ"ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5.პს ევროპის უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი).
6. შპს ევროპის უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;

პირველი საკითხი: ა(ა)იპ-საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "აგრონომიის" საბაკალავრო, "აგრონომიის" სამაგისტრო და "აგრონომიის' სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: აგრონომია;
საფეხური: ბაკალავრიატი
სწავლების ენა: ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:აგრონომიის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს კოდი: 0811 მემცენარეობა და მეცხოველეობა;
სტატუსი: აკრედიტებული;

კრედიტები: 240;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: აგრონომია;
საფეხური: მაგისტრატურა;
სწავლების ენა: ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:აგრონომიის მაგისტრი;
დეტალური სფეროს კოდი: 0811 მემცენარეობა და მეცხოველეობა;
სტატუსი: აკრედიტებული;
კრედიტები: 120;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: აგრონომია;
საფეხური:დოქტორანტურა;
სწავლების ენა: ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: 0811 მემცენარეობა და მეცხოველეობა;
დეტალური სფეროს კოდი:
სტატუსი: აკრედიტებული;
კრედიტები: 40;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

ელიზბარ ელიზბარაშვილი
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის პროცესებმა სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დარგის მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული და სრულ შესაბამისობაშია სტანდარტებთან. იმისათვის, რომ სტუდენტებმა დაგეგმილ სწავლის შედეგებს მიაღწიონ და პროგრამა

მუდმივად შეესაბამებოდეს მოთხოვნილ სტანდარტებს, ხდება მისი რეგულარული გადახედვა და დახვეწა. მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად სფეროს მოთხოვნები სრულად შეესაბამება დარგის სპეციფიკას. დადებითად შეფასდა პროგრამის ორგანიზაციული მხარეც. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სტუდენტზე მორგებული გარემოა შექმნილი და ხორციელდება შესაბამისი ხელშეწყობა, განსაკუთრებით სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის სტუდენტებისთვის.
რესურსების თვალსაზრისით ექსპერტმა განსაკუთრებით გამოყო თანამშრომლები და ხაზი გაუსვა მათ კომპეტენტურობას, განათლებას და სწავლების ფართო შესაძლებლობებს. მონაცემების შეგროვება ხორციელდება სათანადოდ, რაც ხელს უწყობს პროგრამასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას და უზრუნველყოფს შიდა და გარე შეფასების პროცესს ხარისხის მართვისთვის.
აქედან გამომდინარე, პროგრამა სრულ შესაბამისობაშია სტანდარტებთან, თუმცა არსებობს რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც მის კიდევ უფრო დახვეწას შეუწყობს ხელს. დოქტორანტურის სტუდენტებისთვის პროფესორის ასისტენტობის მოთხოვნა შესაძლოა ყველას არ უნდა ვრცელდებოდეს, რაც სტანდარტის განმარტებას უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ გაერთიანებულ სამეფოში მსგავსი მოთხოვნა არ არსებობს. შესაბამისად, საბჭოს გადასაწყვეტია, როგორ განმარტავს სტანდარტს — მკაცრად თუ უფრო მოქნილად. ექსპერტთა გუნდს აქვს რეკომენდაცია, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგას უნივერსიტეტმა ამ სტანდარტის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პირველი რეკომენდაცია ეხებოდა თვითშეფასების ანგარიშის ფორმაში ანგარიშის გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ ინფორმაციის მითითების საკითხს. დაწესებულება ამ რეკომენდაციას ორი მიზეზის გამო არ ეთანხმება. პირველ რიგში, დაწესებულებას არაერთი აკრედიტაციის ფარგლებში აქვს ერთი და იგივე მიდგომა: თვითშეფასების დაწყებისას გამოიყენება საკუთარი სტანდარტები და მოწმდება, როგორ ასრულებს უნივერსიტეტი ამ სტანდარტებს და არსებობს თუ არა რაიმე გასაუმჯობესებელი ასპექტი. თუ ასეთი გამოიკვეთა, რეაგირება ხდება თვითშეფასების დოკუმენტშივე. იმ შემთხვევაში, თუ აღმოფხვრა ვერ მოხერხდა, ანგარიშში აისახება როგორც გასაუმჯობესებელი მხარე. ანგარიშის ფორმის ინსტრუქციაში კონკრეტულად წერია, რომ გასაუმჯობესებელი მხარეები უნდა იყოს აღწერილი მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით. აგრონომიის პროგრამის თვითშეფასების პროცესში მსგავსი გასაუმჯობესებელი მხარე აქამდე არ გამოვლენილა, შესაბამისად, დაწესებულებისთვის გაუგებარია, საიდან გამომდინარეობს რეკომენდაცია.
ასევე აღინიშნა, რომ თვითშეფასების ანგარიშის ფორმისგან ცალკე მდგომია ის ინსტიტუციური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განვითარებას როგორც სისტემური, ასევე რეაქტიული სახით, რაც დასტურდება არაერთი აკრედიტაცია-ავტორიზაციის ფარგლებში. არსებული მექანიზმის ეფექტიანობა სრულად პასუხობს განვითარებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირების მოთხოვნას. შესაბამისად, ანგარიშის ფორმის შევსების სპეციფიკა არ უნდა წარმოადგენდეს ხარვეზის დადგენის საფუძველს.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ რეკომენდაციის შესრულება შეუძლებელია, რადგან დაწესებულება ვერ ჩაწერს ხარვეზს, რომელიც არ არსებობს. ამიტომ რეკომენდაცია არადამაჯერებელია.
რაც შეეხება დისტანციური სწავლებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტების დამუშავებას, აღინიშნა, რომ უნივერსიტეტში არც ერთი პროგრამა არ ხორციელდება დისტანციურად და ეს არ არის გათვალისწინებული არც ამჟამინდელ და არც სამომავლო გეგმებში. შესაბამისად, დოკუმენტი, რომელიც ონლაინ სწავლების საკითხს უზრუნველყოფდა, არ არსებობს. გარდა ამისა, დაწესებულებას რომც სურდეს დისტანციური

სწავლების დანერგვა, კანონი ამის საშუალებას არ იძლევა. ამიტომ უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია უსამართლოა.
მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ის საფუძველს მოკლებულია, რადგან დაწესებულების პროგრამების უცხოურ პროგრამებთან შედარება მუდმივ პროცესშია. ექსპერტებს ჰქონდათ საშუალება შეხვედროდნენ აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს, ასევე საერთაშორისო მიმართულების წარმომადგენლებს. ხაზი გაესვა დაწესებულების მჭიდრო ურთიერთობას კასელის უნივერსიტეტთან. 2023 წლამდე აგრარულ უნივერსიტეტს მათთან ჰქონდა „ფოლკსვაგენის“ პროექტი, რომელიც ეხებოდა მდგრად სოფლის მეურნეობასა და სასურსათო სისტემებს. პროექტის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავდა 9 დოქტორანტი (1 გერმანელი და 8 ქართველი) გერმანელი და ქართველი ხელმძღვანელებით. ამ დოქტორანტებიდან 6 ჩართულია სასწავლო პროცესებში. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები და მეცადინეობები მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ, რაც აისახა სილაბუსებსა და სასწავლო პროგრამებში. მაგალითად, ერთ-ერთი დოქტორანტი ასწავლის კვლევითი დიზაინს. ეს ინფორმაცია მიწოდებული იყო ექსპერტებისთვის.
დაწესებულებას ასევე ჰქონდა წარმატებული „ტემპუსის“ პროექტი — სამაგისტრო პროგრამა „გამოყენებითი ბიომეცნიერებები“, რომლის შედეგადაც შემოიღეს საგანი „ეკოსისტემები და ბიოტექნოლოგია“. დაწესებულებას აქვს მჭიდრო ურთიერთობა იტალიის უნივერსიტეტთან, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლას. ასევე აქტიური ურთიერთობა აქვს საფრანგეთის აენჟეს უნივერსიტეტთან, სადაც მუშაობენ ღირებულებათა ჯაჭვის საკითხებზე. ეს პრაქტიკა დანერგილია და სტუდენტები უკვე სწავლობენ „აგრობიზნესის საფუძვლებს“. კონკრეტული საკითხები ინტეგრირებულია პედაგოგების სასწავლო კურსებში. გარდა ამისა, დაწესებულება გეგმავს აგრონომიის კურიკულუმში 8 პროგრამის დასრულების შემდეგ დაამატოს საგანი „ღირებულებათა ჯაჭვი“. დასასრულს, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მექანიკური პროცესით ჩანაცვლება პრაქტიკაზე დაფუძნებული პროცესების არანაირ ლოგიკაში არ ჯდება.
პროგრამის ხელმძღვანელმა სამაგისტრო პროგრამების მონიტორინგთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ამ პოზიციას არ ეთანხმება და მიიჩნევს, რომ ის უსაფუძვლოა. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ დაწესებულება არ იყენებს პოპულარულ წერილობით კითხვარებს. ხაზი გაესვა იმას, რომ აუდიტორია მცირერიცხოვანია და წერილობითი კითხვარების შემთხვევაში ანონიმურობა ვერ იქნება დაცული, რის შედეგადაც კითხვარები ვერ მიაღწევენ სასურველ შედეგს. დაწესებულებას აქვს შემუშავებული სხვა ფორმა — მაგისტრანტების პირადი ინტერვიუირება, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში კონტაქტობენ მიზნობრივ ადრესატებთან სხვადასხვა საშუალებით. თუ საკითხი მოხვდა არამიზნობრივ ადრესატთან, მაშინვე ხდება რეაგირება და ინფორმაციის შესაბამის ჯგუფთან გადაგზავნა.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კითხვარების გამოყენების პრობლემა არ არსებობს, რადგან ბაკალავრიატზე, სადაც სტუდენტთა რაოდენობა დიდია, ანონიმურობა დაცულია. ამიტომ უცნაურია, რომ ეს ინსტრუმენტი, რომელიც უნივერსიტეტს აქვს, არ გამოიყენებოდა მაგისტრატურაში. თუმცა აღნიშნული მეთოდი ბევრად ეფექტურია მაგისტრანტებთან მიმართებით.
სადოქტორო პროგრამების ასისტენტობის საკითხთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციები უნდა იყოს საკონსულტაციო ხასიათის და არა სარეკომენდაციო, რადგან ჩარჩო დოკუმენტი დაწესებულებას არ ავალდებულებს დოქტორანტურაში ასეთი კომპონენტის ჩართვას, როგორიც არის სადოქტორო ასისტენტობა. აგრონომიის სადოქტორო პროგრამა უკვე მოიცავს სასწავლო კურსს უმაღლესი განათლების სისტემაში, რაც ექსპერტებმა თავად შეაფასეს. აგრარული უნივერსიტეტის დოქტორანტებს შეუძლიათ ინდივიდუალურად მონაწილეობა მიიღონ სასწავლო საქმიანობაში დოქტორანტისა და დოქტორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. მაგალითად, წინა წლების დოქტორანტები

აქტიურად იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესებში. დოქტორანტურის საფეხური მიზნად ისახავს დამოუკიდებელი მკვლევარების ჩამოყალიბებას და ყველა დოქტორანტი არ არის ორიენტირებული აკადემიურ კარიერაზე. შესაბამისად, პროფესორის ასისტენტის სავალდებულო კომპონენტის შემოღება არ იქნება სამართლიანი. წინა აკრედიტაციის პერიოდში დაახლოებით 12 დოქტორანტი მოვიდა ინდუსტრიული სფეროდან, რომლებიც თავიანთი კვლევის ინტერესებით იყვნენ მოტივირებულნი და აკადემიური კარიერა მათი მიზანი არ ყოფილა. უნივერსიტეტს არ შეუძლია წინასწარ ვალდებულებების დაკისრება ან გარანტირებული ადგილის უზრუნველყოფა ყველა დოქტორანტისთვის. ამიტომ დაწესებულება მიიჩნევს, რომ აგრონომიის სადოქტორო პროგრამის ამჟამინდელი სტრუქტურა სრულად შეესაბამება აკრედიტაციის მოთხოვნებს და რეკომენდაცია უნდა გადავიდეს რ ჩ ე ვ ე ბ შ ი .

დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ ეს ვალდებულება ორმხრივად უსარგებლო შეიძლება იყოს: ერთი მხრივ, დოქტორანტები, რომელთა ინტერესს არ წარმოადგენს აკადემიური სფერო, და მეორე მხრივ, დაწესებულება ვერ დანიშნავს პროფესორის ასისტენტად, თუ ამის საჭიროება და სურვილი არ არის ხელმძღვანელის მ ხ რ ი დ ა ნ .

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ფორმალური კოლეგიალური შეფასების შემოღების რეკომენდაცია არასაკმარისად დასაბუთებულია, რადგან დასკვნით პროექტში არ არის წარმოდგენილი მოქმედი სისტემის ხარვეზის მტკიცებულებები და არ არის დაკონკრეტებული, რომელი ელემენტი არ აკმაყოფილებს სტანდარტს. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროგრამები ფუნქციონირებს აკრედიტაციის სტანდარტებით და საქართველოს განათლების ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, ამიტომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები საკმარისია გარემოს მონიტორინგისთვის. შესაბამისად, დაწესებულება მიიჩნევს, რომ 5.1 ქვესტანდარტი სრულად დაკმაყოფილებულია და რეკომენდაცია უნდა იყოს ზოგადი რჩევა. ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაცია არ არის დაფუძნებული რაიმე მიგნებაზე. ეს მხოლოდ ექსპერტის ხედვაა, თუ როგორ შეიძლება სტანდარტი უკეთ შესრულდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სტანდარტთან შესაბამისობა არ არსებობს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ პირველი კითხვით მიმართა ექსპერტებს კლასტერულ შიდა ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით და დაინტერესდა, რა იყო ამ რეკომენდაციის გაცემის საფუძველი.

ექსპერტმა განმარტა, რომ რეკომენდაციები გამომდინარეობს სტანდარტისა და ახალი ჩარჩოს მოთხოვნებიდან. მათ შორის, სტანდარტში პირდაპირ წერია, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უნდა ითვალისწინებდეს ელექტრონული/დისტანციური სწავლების მეთოდებს. ექსპერტები ვალდებულნი იყვნენ შეაფასონ, აქვს თუ არა დაწესებულებას ეს მექანიზმები, ამიტომ აღნიშნული დასკვნაშიც აისახა. რამდენიმე რეკომენდაცია ფორმალურია, რადგან დასკვნაში სხვაგვარად ვერ დაიწერებოდა. ასევე ხაზი გაესვა სადოქტორო პროგრამის გარეკოლეგიალური შეფასების სავალდებულო მოთხოვნას, რომელიც პირდაპირ არის ჩაწერილი ახალ სადოქტორო ჩარჩოში. რაც შეეხება ლექტორების ანონიმურ შეფასებას, აღინიშნა, რომ ეს ხდება მხოლოდ ბაკალავრიატზე, რადგან მაგისტრატურაზე სტუდენტთა რაოდენობა მცირეა. თუმცა, ბაკალავრიატზე არის 141 სტუდენტი, ხოლო მაგისტრატურაზე — 115, რაც დიდ განსხვავებას არ ქმნის, ამიტომ გაუგებარია, რატომ არ ხდება ანონიმური შეფასება ორივე საფეხურზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აკრედიტაციის სტანდარტებში 5.1 კომპონენტის ქვეშ წერია: „ელექტრონული დისტანციურად განხორციელებული სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით უზრუნველყოფს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ადაპტირებას და მათ

სათანადო დანერგვას“. მიზანი მკაფიოდ არის გაწერილი, თუმცა დაწესებულება ონლაინ სწავლებას არ ახორციელებს, ამიტომ ამ მიზანს ვერ შეასრულებდა. სტანდარტის ასეთი ინტერპრეტაცია ნიშნავს, რომ ყველა უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს ეს დოკუმენტი, რაც არ არის ლოგიკური.

რაც შეეხება ანკეტა-კითხვარებს, აღინიშნა, რომ მაგისტრანტებთანაც იგზავნება კითხვარები სასწავლო პროცესისა და ლექტორის შეფასებისთვის სემესტრის ბოლოს. განსხვავება ისაა, რომ მაგისტრანტების რაოდენობა 115-ს შეადგენს, მაგრამ ისინი ერთდროულად არ არიან აქტიური წერის პროცესში და ერთ ხელმძღვანელზე ერთიდაიგივე კითხვარი ვერ მოვა, რადგან ხშირად ხელმძღვანელს ჰყავს მხოლოდ 1-2 მაგისტრანტი. შესაბამისად, ანონიმური კითხვარები გამოიყენება სასწავლო პროცესში, მაგრამ არა კვლევითი კომპონენტის ნაწილში.

სადოქტორო ჩარჩო დოკუმენტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მოთხოვნა „სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა რეგულარულად იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას“ არ განსაზღვრავს ფორმას. დაწესებულება მიიჩნევს, რომ არსებული შიდა და პარტნიორული თანამშრომლობა უზრუნველყოფს განმავითარებელ შეფასებებს და პროგრამის მუდმივ დახვეწას, რაც სრულად აკმაყოფილებს ჩარჩოს მოთხოვნას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მაგისტრატურის მეორე ნაწილი აქცენტირებულია სამეცნიერო კომპონენტზე და არა სასწავლოზე. სამზე მეტი მაგისტრანტი ერთ ხელმძღვანელს არ ჰყავს, ამიტომ ანონიმური გამოკითხვა მიზანშეწონილი არ არის. თუ სტანდარტი ასე ინტერპრეტირდება, მაშინ ეს მიდგომა ყველა უნივერსიტეტზე უნდა გავრცელდეს.

ექსპერტმა პროფესორის ასისტენტობის სასწავლო კურსის რეკომენდაციაზე აღნიშნა, რომ პროგრამის მიზანია „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების უნარის მქონე კვალიფიციური კადრის მომზადება“, რაც თვითონ დაწესებულებას უწერია. ამიტომ გაიცა რეკომენდაცია. არსებული სასწავლო კურსი მნიშვნელოვანია, თუმცა მას მხოლოდ ერთი სალექციო მასალა ეთმობა და სტუდენტის შეფასების მეთოდებს — 3-4 საათი, რაც საკმარისი არ არის.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიზანია მომავალი ლექტორებისა და პედაგოგების განვითარება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყველა სტუდენტი ამ მიმართულებით წავა.

საბჭოს თავმჯდომარემ დასვა კითხვა: სამაგისტრო პროგრამაში არის ორი ინგლისური ენის კურსი — „ინგლისური 1“ და „ინგლისური 2“. „ინგლისური 1“-ის სილაბუსში წერია, რომ სტუდენტის დონე უნდა შეესაბამებოდეს B1 დონეს. როგორ მოწმდება ეს დონე?

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საგამოცდო ცენტრში ტარდება საერთაშორისო ტესტი, რომლის მიხედვითაც დგინდება ინგლისური ენის დონე. ასევე, დაწესებულებას ჰყავს ინგლისური ენის კურატორი, რომელიც არეგულირებს როგორც სამაგისტრო, ისე საბაკალავრო დონეს.

საბჭოს თავმჯდომარეს აინტერესებდა, თუ სტუდენტმა სკოლაში ან ბაკალავრიატზე ისწავლა გერმანული ენა, რა ხდება ამ შემთხვევაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ასეთ შემთხვევაში სტუდენტი გადის ინგლისური ენის კურსს, თუმცა ეს არის კრედიტებს გარეთ და არ აისახება კრედიტებში.

საბჭოს წევრმა დასვა კითხვა: სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელს მაქსიმუმ რამდენი დოქტორანტის ხელმძღვანელობის უფლება აქვს წელიწადში და გათვალისწინებულია თუ არა პარალელურად სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა? ასევე, თუ დოქტორანტს სურს პედაგოგიური საქმიანობის გაგრძელება, ხომ არ ჯობდა, რომ შესაბამისი საგანი არჩევით სახით მაინც შეთავაზებულიყო?

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროფესორს შეუძლია უხელმძღვანელოს ჯამში 3-დან 5-მდე დოქტორანტსა და მაგისტრანტს წელიწადში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 12:27
დასრულების დრო: 12:44
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ-საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "აგრონომიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი,ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,საბჭომ იმსჯელა და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ ა(ა)იპ-საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "აგრონომიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ-საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "აგრონომიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი,ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,საბჭომ იმსჯელა და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ ა(ა)იპ-საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "აგრონომიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ-საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "აგრონომიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი,ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,საბჭომ იმსჯელა და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ ა(ა)იპ-საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "აგრონომიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

მეორე საკითხი: სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "კომპიუტერული სოციალური მეცნიერებები განვითარებისთვის" ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის დასახელება: კომპიუტერული სოციალური მეცნიერებები განვითარებისთვის;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალური მეცნიერებების მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0319 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები – არაკლასიფიცირებული;
სწავლების ენა: ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა: 120;
სტატუსი: ახალი;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
ქეთევან აფთარაშვილი; თამარ ზარანდია.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 20-21 ოქტომბერს ჩატარდა აკრედიტაციის ვიზიტი და ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნული მიმართულება სიახლეს წარმოადგენს საგანმანათლებლო სივრცეში. გაიცა რეკომენდაციები, რომელთა განხორციელება უნივერსიტეტს მარტივად შეუძლია.
პირველი რეკომენდაცია ეხება პროგრამის მიზნების ჩამოყალიბებას უფრო მოკლედ და ცალკეულად, რათა შესაძლებელი იყოს მათი შეფასება. რეკომენდაციის საფუძველი იყო ის, რომ არსებული სამი მიზანი მოიცავს მრავალ კომპონენტს, რაც ართულებს მიზნის მიღწევის შეფასებას.
შემდეგი რეკომენდაცია ასევე მიზნებს ეხება — საჭიროა მათი უფრო ნათლად წარმოჩენა, რათა ცხადი იყოს, რომელ მიზნებსა და კომპეტენციებს მიაღწევენ სტუდენტები პროგრამის დასრულების შემდეგ.
1.3 კომპონენტთან დაკავშირებული რეკომენდაცია ეხება თითოეული სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნულის დადგენას. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ეს არსებობს, ყველა შედეგისთვის არ არის განსაზღვრული. აღნიშნული შეიძლება დადგინდეს პროგრამის დაწყების ეტაპზეც.
1.4 კომპონენტში რეკომენდებულია სწავლისა და შედეგების შეფასების კორექტირება, რათა მხარდაჭერილი იყოს პროგრამის მერვე სწავლის შედეგი. ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ერთი კურსი შეესაბამება ამ შედეგს.
1.5 კომპონენტში რეკომენდებულია კურსის აღწერილობაში სწავლის შედეგების გაწერა ცოდნის, უნარების და ავტონომიის ჩარჩოს შესაბამისად, რათა თითოეულ კურსში მითითებული იყოს, რომელი შედეგი კლასიფიცირდება ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიის მიხედვით.
მეორე რეკომენდაცია ეხება „ტესტის ანალიზის“ კურსის სასწავლო გეგმის განახლებას, რათა ის შეესაბამებოდეს უახლეს მოვლენებს (2018 წლის შემდგომი პერიოდი). დაწესებულება მზად არის განახორციელოს ეს ცვლილება.
შემდეგი რეკომენდაცია ეხება მსგავსი შინაარსის მქონე კურსებში სწავლის შედეგების ხელახალ ფორმულირებას, რათა ნათლად გამოჩნდეს, არის თუ არა შინაარსობრივი დუბლირება.
2.1 სტანდარტში რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა დააწესოს სპეციალური მისაღები გამოცდა აპლიკანტებისთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების შესაბამისად.

2.2 სტანდარტში პირველი რეკომენდაცია ეხება მინიმალური კომპეტენციის ზღვარის მითითებას იმ სილაბუსებში, სადაც ის არ არის, რაც ხელს შეუწყობს შეფასების გამჭვირვალობას. მეორე რეკომენდაცია — „განვითარების თეორიების“ კურსის ფინალური გამოცდისთვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარის განსაზღვრა უნივერსიტეტის დებულებისა და შესაბამისი ბრძანების შესაბამისად.
მეოთხე სტანდარტში გაიცა ოთხი რეკომენდაცია:
4.1 ქვესტანდარტი — ყველა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა უნდა წარმოადგინოს განახლებული რეზიუმე, რადგან რამდენიმე შემთხვევაში აღმოჩნდა 2019 წლის მონაცემები.
4.2 ქვესტანდარტი — უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს კონტრაქტი ან ფორმალური შეთანხმება ხელმძღვანელებს, თანახელმძღვანელებსა და სტუდენტებს შორის, სადაც განსაზღვრული იქნება დანიშვნა და მოვალეობები.
4.4 ქვესტანდარტი — რეკომენდებულია პროგრამული უზრუნველყოფის სისტემის განახლება, რადგან არსებული სისტემა მოძველებულია და აღარ არის მხარდაჭერილი „Microsoft“-ის მიერ, რაც პრობლემას ქმნის უახლესი ანალიტიკური სისტემების გამოყენებისთვის. ასევე საჭიროა კომპიუტერული ინფრასტრუქტურის განახლება, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ საკმარისი რესურსი მონაცემთა ანალიზისთვის. დაწესებულებას უკვე აქვს განახლების გეგმა.
საბოლოოდ აღინიშნა, რომ პროგრამა ძალიან საინტერესოა, წარმოადგენს სიახლეს თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში და ხელს უწყობს პროფესიონალების ჩამოყალიბებას შესაბამის სფეროში.
ირმა ქურდაძემ აღნიშნა, რომ პროგრამა განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან ორი უნივერსიტეტის კოლაბორაციით არის შექმნილი, მენეჯმენტი კარგად არის გადანაწილებული და საერთაშორისო კომპონენტი ნათლად არის გამოხატული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტებმა საკმაოდ დიდი შრომა გაწიეს, რათა შეეფასებინათ მოცულობითი პორტფოლიო და გაითვალისწინეს ის დეტალები, რომელთა მიმართაც დაწესებულებას განსხვავებული პოზიცია ჰქონდა.
დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ უმეტეს რეკომენდაციებს იზიარებს. უნივერსიტეტი ჯერ კიდევ მსჯელობს მისაღები გამოცდის ჩატარების საკითხზე, თუმცა მიიჩნევს, რომ რადგან მაგისტრატურაზე ჩაბარებისას სტუდენტი უკვე აბარებს ერთიან მისაღებ გამოცდებს და ადასტურებს ენობრივ კომპეტენციას, დამატებითი გამოცდის დანიშვნა შესაძლოა არ იყოს მიზანშეწონილი. ალტერნატიულად, შესაძლებელია ინტერვიუების საშუალებით მოხდეს სტუდენტების პროფილების განსაზღვრა. პროგრამა გასცემს სოციალური მეცნიერების მაგისტრის ხარისხს და არ არის მხოლოდ ერთი კონკრეტული დარგი.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი მოსაზრებით ორი რეკომენდაცია რჩევის სახით შეიძლებოდა წარმოდგენილიყო, რადგან თავად ექსპერტები ნარატივში აღნიშნავენ ამას. მაგალითად, 1.1 კომპონენტში რეკომენდებულია პროგრამის მიზნების ხელახალი ჩამოყალიბება. ორივე რეკომენდაცია პრაქტიკულად ერთი შინაარსისაა, ამიტომ შესაძლებელი იყო მათი გაერთიანება ერთ რეკომენდაციად ან რჩევის სახით წარმოდგენა. დანარჩენი რეკომენდაციები მეტად ზუსტია და დაწესებულება მზად არის მათ გასატარებლად.
1.3 კომპონენტთან დაკავშირებით ექსპერტები აღნიშნავენ, რომ დადგენილია სამიზნე ნიშნულები, პროცენტული განაწილება და ზღვრული ნიშნულები, რომელთა შემთხვევაში საჭიროა დაკვირვება. ასევე განსაზღვრულია პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მუშაობის პროცესში შესაძლებელია დაკვირვება ინდივიდუალურ სწავლის შედეგებზე და სამიზნე ნიშნულების დადგენა.
მერვე სწავლის შედეგთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მასთან დაკავშირებულია რამდენიმე სასწავლო კურსი: „განვითარების თეორიები“, „სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და კომპიუტერულ-სოციალური მეცნიერებები“, „კვლევის მეთოდების ძირითადი პრინციპები

სოციალურ მეცნიერებებში“, „სტაჟირება“, „სამაგისტრო ნაშრომი“, ეს ხუთი კურსი წარმოადგენს მერვე შედეგის განმტკიცებას და გაღრმავებას. სწავლის შედეგების მიზნებთან შესაბამისობის საკითხზე ითქვა, რომ დაწესებულებამ ყველა კურსი ხელახლა გადაამოწმა და მხოლოდ ერთ კურსში არ იყო გამოყოფილი მიზანი, თუმცა ყველა მიზანი და შედეგი ჩამოყალიბებული იყო. შესაბამისად, ეს შეიძლება გაითვალისწინოს დაწესებულებამ, თუმცა სტანდარტის დარღვევა არ ხდება.

პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები ზუსტად იქნება გაწერილი მიღების გამოცხადებისას. „განვითარების თეორიების“ კურსში აღმოჩნდა ტექნიკური შეცდომა — კომპეტენციის ზღვარში 50%-ის ნაცვლად წერია 70%, რაც აუცილებლად გასწორდება.

დაწესებულებას არ მიაჩნია სწორად, რომ მეტწილად არის შეფასებული 4.1 კომპონენტი, რადგან თავად ექსპერტები მიუთითებენ, რომ პროგრამას ახორციელებს აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და ფართო პედაგოგიური გამოცდილება, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნობრივი შედეგების მიღწევას. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია და პროფესიული საქმიანობა შეესაბამება განათლების შესახებ კანონს და უნივერსიტეტის წესებს. მიუხედავად ამისა, გაიცა რეკომენდაცია სიების განახლების შესახებ. დაწესებულება აღნიშნავს, რომ სიები განახლდება ახალი მიღწევების შემთხვევაში და ბოლოს განახლდა გასულ წელს ავტორიზაციის დროს. რეკომენდაციას დაწესებულება გაიზიარებს.

4.2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ უნივერსიტეტმა მიაწოდა ექსპერტებს რეგულაციები, რომლებიც საუნივერსიტეტო დადგენილებით რეგულირდება. სამაგისტრო ნაშრომის ეტაპზე პროგრამის ხელმძღვანელს აქვს თემატიკა და შერჩეული სტუდენტები, თუმცა სტუდენტს შეუძლია თავისუფლად აირჩიოს თემა, რაც მტკიცდება საბჭოზე. ცალკე ხელშეკრულებები არ ხდება, თუმცა თუ რეკომენდაცია ძალაში დარჩება, დაწესებულება გაითვალისწინებს.

4.4 კომპონენტში დაწესებულება ეთანხმება ექსპერტებს, რომ კომპიუტერული ბაზა ნამდვილად გასაახლებელია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებულია გამოცდის ჩატარება მაგისტრატურაზე მისაღები პროცესის ფარგლებში, თუმცა იქვე მითითებულია, რომ უნივერსიტეტები თვითონ არჩევენ ფორმასა და შინაარსს. შესაბამისად, გასაუბრება გამოცდის ერთ-ერთ ფორმად ითვლება, რომელიც უნივერსიტეტის პერსონალმა შეარჩია და დაშვებულია.

რაც შეეხება პირველ ორ რეკომენდაციას მიზნებთან დაკავშირებით, აქაც არსებობს გარკვეული კითხვები. 1.1 რეკომენდაციის აღწერით ნაწილში ექსპერტები დასკვნაში წერენ, რომ პროგრამის მიზნები წარმოდგენილია, მკაფიოდ ჩამოყალიბებულია და რეალისტურია. მიზნები დაყოფილია სამ ნაწილად, რომელთაგან თითოეული მოიცავს ზოგადი და განსხვავებული სასწავლო მიზნების ვრცელ ჩამონათვალს, რომლებიც რელევანტურია კომპიუტერული-სოციალური მეცნიერების დისციპლინისათვის. მიზნები დანომრილია, თუმცა აკლია ცოდნის, უნარების და კომპეტენციების სათაურები. აღნიშნული აკრედიტაციის სტანდარტებით არ მოითხოვება. პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია სწავლის შედეგების დანართის შესაბამისად და ნათლად ჩანს, რომ ისინი ასახავს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას.

პროგრამაში წარმოდგენილია მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, რომელიც თვალნათლივ აჩვენებს, რომელი მიზანი რომელ შედეგს უკავშირდება. ასევე მოცემულია სასწავლო კურსებისა და შედეგების რუკა, სადაც ნაჩვენებია, რომელი კურსები უზრუნველყოფენ შედეგების მიღწევას. შესაბამისად, მიზნების მიღწევის შეფასება სირთულეს არ წარმოადგენს და დაწესებულების მოსაზრებით აღნიშნული არ უნდა იყოს რეკომენდაცია.

ხელშეკრულებებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ექსპერტებმა ვიზიტის პერიოდში დამატებით მოითხოვეს აღნიშნული ფორმა. IBSU-ს შემუშავებული აქვს ხელშეკრულების ფორმა და ის მიწოდებული იყო ექსპერტებისთვის, ამიტომ გაურკვეველია ამ რეკომენდაციის არსებობა.
1.5 სტანდარტი ეხებოდა შინაარსობრივ სილაბუსს. როგორც თავმჯდომარემ აღნიშნა, პირველი რეკომენდაცია ეხებოდა „ტექსტის ანალიზის“ კურსში ახალი რესურსების გამოყენებას. დაწესებულება დაეთანხმა ამ რეკომენდაციას, თუმცა აღნიშნა, რომ საფუძვლებში გამოყენებულია 2017 წლის ლიტერატურა, მაგრამ სილაბუსში ასევე არის ახალი რესურსები (მაგალითად, 2021 წლის) და დამატებით არსებობს ელექტრონული ფორმით განახლებული მასალები.
რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას — რომ რამდენიმე საგანი ერთმანეთს ფარავდეს — მაგალითად მოყვანილია: „გეოინფორმაციული სისტემების სწავლება“, „მონაცემთა ვიზუალიზაცია“, „ტექსტის ანალიზი“, - სათაურებიდანაც ჩანს, რომ აქცენტები განსხვავებულია, მიუხედავად იმისა, რომ ყველა კურსი მონაცემთა ანალიზის გარშემოა. „გეოინფორმაციული სისტემები“ ფოკუსირებულია სივრცით-გეოგრაფიულ ანალიზზე, „ტექსტის ანალიზი“ — ტექსტურ მონაცემებზე, ხოლო „მონაცემთა ვიზუალიზაცია“ — მონაცემების ვიზუალიზაციის ტექნიკურ და შინაარსობრივ მეთოდებზე. ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, რომ კურსები ერთმანეთს ფარავს, თუმცა მათი მიზანია სტუდენტს მრავალმხრივი განათლება მისცეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ციური დურულმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს. 1.1 კომპონენტთან დაკავშირებით გაცემულია ორი რეკომენდაცია:
პირველი ეხება მიზნების უფრო მოკლედ და ცალკეულად ჩამოყალიბებას, რათა მათი შეფასება გამარტივდეს. თუმცა ნარატივში მიზნები დადებითად არის შეფასებული, ამიტომ გაუგებარია, რა იგულისხმება ამ რეკომენდაციაში.
მეორე რეკომენდაცია ითხოვს მიზნების ხელახალ ჩამოყალიბებას იმისთვის, რომ ნათლად იყოს მითითებული, რომელ უნარებს მიაღწევენ სტუდენტები. ფაქტობრივად, სტანდარტი ამას არ ითხოვს.
ციური დურულს აინტერესებდა, რამ გამოიწვია ამ რეკომენდაციების ასეთი ფორმულირება. ივარ ოვერგარდმა განმარტა, რომ ევროკავშირის მოთხოვნების მიხედვით ერთობლივი პროგრამების შემთხვევაში კომპეტენციები მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული და მიღწევების დემონსტრირება შესაძლებელი. იმის გათვალისწინებით, რომ აქ სხვადასხვა კრიტერიუმებია ჩართული, რთულია მათი გამოვლენა, ამიტომ გაიცა რეკომენდაცია. მიზნებთან მიმართებითაც ევროკავშირის მხრიდან მსგავსი მოთხოვნა არსებობს. ციური დურულმა 1.5 კომპონენტთან მიმართებით აღნიშნა, რომ ის ეთანხმება დაწესებულებას და მხოლოდ ერთ კურსში არ იყო გაწერილი ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობა-ავტონომიის მიხედვით. თუმცა არც ეს მოთხოვნა არის ჩვენი სტანდარტის მიხედვით. 4.4 სტანდარტშიც, ფაქტობრივად, ერთი და იგივე შინაარსის რეკომენდაცია მეორდება.
ექსპერტმა 4.4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეთანხმება და შესაძლებელია ორი რეკომენდაციის გაერთიანება, თუმცა მათი ცალკე გაწერის მიზეზი ისაა, რომ პირველი ეხება პროგრამის უზრუნველყოფას, ხოლო მეორე — აპარატურას. 1.5 კომპონენტთან მიმართებით აღინიშნა, რომ სავალდებულო არ არის გაწერილი, თუმცა ნორვეგიის მაგალითზე ეს მოთხოვნა არსებობს და საბოლოოდ ეს საბჭოს გადასაწყვეტია.
საბჭოს წევრმა სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებულ ხელშეკრულებაზე დასვა კითხვა: კერძო უნივერსიტეტებში ეს ხელშეკრულება გაფორმებულია, ხოლო საჯარო უნივერსიტეტებში ხელმძღვანელის დატვირთვა შედის საათობრივ დატვირთვაში. ასეთ შემთხვევაში, რამდენად მიზანშეწონილია დამატებით ხელშეკრულების გაფორმება აკადემიური პერსონალისთვის?

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს ასეთი პრაქტიკა და ხელშეკრულების გაფორმება სავალდებულო არ არის, თუმცა საბჭო ადგენს წესს, ვის და რამდენ სტუდენტს შეიძლება უხელმძღვანელოს თითოეულმა. დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ ხელშეკრულებები ისედაც გაფორმებულია, სადაც დატვირთვა და ყველა დეტალი მითითებულია. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სადავოა ჯამური რაოდენობა, თუმცა რეკომენდაციის მიზანია კიდევ ერთხელ დაზუსტდეს ეს საკითხი, რათა არ მოხდეს გაურკვევლობა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:54
დასრულების დრო: 14:32
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "კომპიუტერული სოციალური მეცნიერებები განვითარებისთვის" ერთობლივ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (31/12/2028) ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,საბჭომ იმსჯელა და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "კომპიუტერული სოციალური მეცნიერებები განვიტარებისთვის" ერთობლივ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით (31/12/2028) ერთი წლის თავზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

მესამე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის" საინფორმაციო ტექნოლოგიების" საბაკალავრო,"კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო და "ინფორმაციული სისტემების მართვა"- DevOps" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისკლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1.1. პროგრამის დასახელება: საინფორმაციო ტექნოლოგიები;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0612 - მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება;

სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;
სტატუსი: ახალი;
საბჭოს გადაწყვეტილება: პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 23 დეკემბრამდე;
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი: 2025 წლის 23 დეკემბერი;

1.2. პროგრამის დასახელება: კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;
სტატუსი: ახალი;
საბჭოს გადაწყვეტილება: პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 23 დეკემბრამდე;
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი: 2025 წლის 23 დეკემბერი;

1.3. პროგრამის დასახელება: ინფორმაციული სისტემების მართვა - DevOps Information Systems Management - DevOps;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინფორმაციული სისტემების მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120;
სტატუსი: ახალი;
საბჭოს გადაწყვეტილება: პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 23 დეკემბრამდე;
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი: 2025 წლის 23 დეკემბერი;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

თარჯიმანმა საბჭოს წევრებს გააცნო თავმჯდომარის წერილი:
აიტი კლასტერის შთაბეჭდილება ექსპერტებზე არის ძალიან დადებითი და კარგი. შესაბამისობა გამოვლინდა ყველა სტანდარტთან მიმართებაში გარდა 3.2 დ 4.2-სა, რომელთა შემთხვევაშიც მეტწილად შესაბამისობა დადგინდა, გუნდმა 2 რეკომენდაცია გასცა. უნივერსიტეტმა არგუმენტირებულ პოზიციაში თანხმობა განაცხადა 3.2 რეკომენდაციაზე და არ დაეთანხმა 4.2-ს, თუმცა მას, როგორც რჩევას ეთანხმება. უნივერსიტეტის პოზიცია გუნდის რჩევასთან დაკავშირებით არის შემდეგი, რომ პროგრამის ხელმძღვანელები და განმახორციელებლები ამ შესაძლებლობას მომავალში გათვალისწინებას.

დიდი მადლობა თანამშრომლობისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათთვის ეს იყო კლასტერული აკრედიტაცია და ამავე დროს პროგრამების გარე შეფასებების ციკლის დამასრულებელი ეტაპი, რადგან კომპიუტერული მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის პროგრამამ შარშან გაიარა აკრედიტაცია. 2022-2023 წლებში „საინფორმაციო ტექნოლოგიების“ პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია, ხოლო სამაგისტრო პროგრამამ 2023 წელს გაიარა მონიტორინგი. შესაბამისად, ეს ეტაპი იყო საბოლოო ამ პროგრამებთან დაკავშირებით.

რაც შეეხება რეკომენდაციებს, დაწესებულება იზიარებს 3.2 რეკომენდაციას, ხოლო 4.2 რეკომენდაციას — არა, რამდენიმე გარემოებიდან გამომდინარე.

პირველი: 4.2 ქვესტანდარტი ეხება მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელების კვალიფიკაციას, რომელსაც აქვს თავისი შეფასების კრიტერიუმები და მტკიცებულებები. ქვესტანდარტის მოთხოვნები უნდა შეესაბამებოდეს სფეროს. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ამავე ნაწილში, პირველივე აბზაცში დასტურდება, რომ ხელმძღვანელებს აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია. დანარჩენი ნაწილი უკვე ეხება სამაგისტრო ნაშრომის მოსაზრებებს, რაც არანაირ კავშირში არ არის სტანდარტის მოთხოვნებთან.

გარდა ამისა, რეკომენდაცია არის წინადადება, რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად. აქედან გამომდინარე, პირველივე აბზაციდან ჩანს, რომ ეს მოთხოვნა უკვე უზრუნველყოფილია. შესაბამისად, რთულია ამ რეკომენდაციის მიღება.

რეკომენდაციაში წერია, რომ „მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს“. იმაზე მეტი ყურადღების დათმობა, რაც უკვე არსებობს, შეუძლებელია. ასევე რეკომენდაციაში მითითებულია, რომ უნდა შემუშავდეს მკაფიო კვლევითი კომპონენტები.

დაწესებულების მოსაზრებით ეს არის უფრო რჩევა და არა რეკომენდაცია, რადგან არ უკავშირდება ქვესტანდარტის მოთხოვნებს. მისი შესრულება ვერ უზრუნველყოფს დამატებით იმას, რაც უკვე უზრუნველყოფილია (რაც თავად ექსპერტებიც აღნიშნავენ). თუ რეკომენდაცია შესრულდება, გაურკვეველია, როგორ უნდა მოხდეს ნარატივში მისი დადასტურება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა 4.2 სტანდარტთან მიმართებით კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა: არის თუ არა სამაგისტრო ნაშრომში პროგრამის ფარგლებში მკაფიოდ განსაზღვრული კვლევითი აქცენტები? გადამოწმდა თუ არა სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი და რამდენად შეესაბამება წარმოდგენილი სილაბუსი სამაგისტრო სილაბუსის სტანდარტს?

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კვლევითი კომპონენტი არ შეიძლება იყოს მხოლოდ 1-2 გვერდი სამაგისტრო ნაშრომში. დაწესებულებას აქვს სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების წესი, სადაც დეტალურად არის მითითებული: რას მოიცავს ნაშრომი, როგორი უნდა იყოს მისი სტრუქტურა,რა კომპონენტები უნდა იყოს გათვალისწინებული. აქედან გამომდინარე, კვლევა 2 გვერდიანი ნამდვილად ვერ იქნება. რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსს, ამისთვის სტანდარტი საერთოდ არ არსებობს — ყველა დაწესებულებას აქვს ინდივიდუალური მიდგომა, ამიტომ შედარება ვერ მოხდება.

საბჭოს წევრს ასევე აინტერესებდა, როგორ სთავაზობს დაწესებულება სტუდენტებს ნაშრომის თემას დაგეგმვის პროცესში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სემესტრის დაწყებამდე პროგრამის განმახორციელებელი დარგის სპეციალისტები ამზადებენ თემებს და წერენ მცირე ანოტაციას, თუ რატომ არის თემა აქტუალური. შემდგომში თემებს განიხილავს სპეციალური დარგობრივი კომისია, რომელსაც შეუძლია უარის თქმა კონკრეტულ თემაზე. ამის შემდეგ თემატიკას განიხილავს აკადემიური საბჭო, რომელიც ამტკიცებს თემებს. სტუდენტებს აქვთ უფლება

წარადგინონ საკუთარი კვლევის თემა, რომელსაც ასევე განიხილავს აკადემიური საბჭო და შეურჩევს ხელმძღვანელს, თუ სტუდენტს უკვე არ ჰყავს შერჩეული ხელმძღვანელი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:53
დასრულების დრო: 14:59

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის" საინფორმაციო ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის" საინფორმაციო ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 23 დეკემბრამდე.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის"კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ -

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის"კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 23 დეკემბრამდე

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭებისა საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 23 დეკემბრამდე.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ინფორმაციული სისტემების მართვა"- DevOps" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -14
წინააღმდეგი - 0

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის

№223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ინფორმაციული სისტემების მართვა"- DevOps" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 23 დეკემბრამდე.

მეოთხე საკითხი: სიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ"ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
დავით კაპანაძე

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ანა კეშელაშვილმა აღნიშნა, რომ რამდენიმე რეკომენდაცია იყო პირველ, მეოთხე და მეხუთე სტანდარტებთან დაკავშირებით ამ პროგრამის მიმართ და ყველა ეს რეკომენდაცია შესრულებულია წარმოდგენილ დოკუმენტში და ზოგ შემთხვევაში გათვალისწინებული არის რჩევებიც.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ივანე ჯაგოდნიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:33
დასრულების დრო: 15:39

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, სიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ"ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მეხუთე საკითხი: პს ევროპის უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი).

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ქრისტინე ახალაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტები ახორციელებდნენ ჩარჩოსთან შესაბამისობის პროექტს. მათ გაეგზავნათ ყველა საჭირო დოკუმენტი და ამის საფუძველზე შემოწმდა პროგრამა ჩარჩოსთან შესაბამისობის კუთხით. ექსპერტებმა შეისწავლეს პირველი და მეორე სტანდარტები და დარგობრივ ექსპერტს აქვს რეკომენდაცია აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობის მიმართულებით და დანარჩენი არის რჩევები, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ მეორეხარისხოვანია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

სოფო ხუნდაძემ აღნიშნა, რომ რადგან რეკომენდაცია არ ეხებოდა ჩარჩოებთან შესაბამისობის საკითხს დაწესებულებამ ჩათვალა, რომ ამიტომ არ იყო რეკომენდაცია საერთო რეკომენდაციებში გამოტანილი. თავად რეკომენდაციას დაწესებულება იზიარებს და ამ მიმართულებით უნივერსიტეტი ცდილობს თანაფარდობის გაუმჯობესებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა ექსპერტს. 11 არის აკადემიური პერსონალი და მას აინტერესებდა 10 რომ ყოფილიყო მოწვეული 18-ის მაგივარდ დამაკმაყოფილებელი იქნებოდა თუ არა.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალის გაძლიერება ფსიქოლოგიის აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალით არის საჭირო.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:17
დასრულების დრო: 15:30

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: პს ევროპის უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შესახებ დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შესწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს პს ევროპის უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
მიჩნეულ იქნეს, რომ "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

მეექვსე საკითხი: შპს ევროპის უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;

სოფო ხუნდაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება ახორციელებს ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამას, რომელსაც კლასტერის ვადა ეწურება 31 დეკემბერს. ეს პროგრამა არ შემოიტანეს სააკრედიტაციოდ, რადგან არ იგეგმება ამ პროგრამის სამომავლოდ განხორციელება. სამაგიეროდ სააკრედიტაციოდ დაწესებულებამ წარადგინა „კომპიუტერული მენციერების“ საბაკალავრო პროგრამა, რომელმაც მიიღო აკრედიტაცია. პროგრამები ერთმანეთისგან განსხვავდება, თუმცა შინაარსობრივად ბევრი საერთო აქვთ, ამიტომ იგეგმება ინფორმატიკის სტუდენტების მობილობით გადაყვანა ამ პროგრამაზე. აკადემიური კალენდრის შედეგად სემესტრი სრულდება 14 თებერვალს, თუმცა შემდგეი პროცედურული საკითხების გათვალისწინებით დაწესებულება დამატებით 2 კვირიან ვადას ითხოვს და შესაბამისად პროგრამის ფუნქციონირება უნდა გახანგრძლივდეს პირველ მარტამდე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:43
დასრულების დრო: 15:46

სხდომის თავმჯდომარემ ჯენჭისყრაზე დააყენა: შპს ევროპის უნივერსიტეტის შუამდგომლობა და „ინფორმატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
“განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების” 27^8-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაკმაყოფილდეს შპს ევროპის უნივერსიტეტის შუამდგომლობა და „ინფორმატიკის“ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2026 წლის პირველ მარტამდე.) აკრედიტებულ რეჟიმში დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 23 დეკემბრის 15:50 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

ს. შავაძე

ელექტრონული
ფაქსიმილე
ელექტრონულად